პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 198 (12112)
ოთხშაბათი,
30
აგვისტო,
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. 28 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს 8 თვის დავალება. უკვე დიდი ხანია პროდუქციას სექტემბრის ანგარიშში იძლევიან მინის ტარის, საკონსერვო, აგურისა და ლუდის ქარხნები, მერვე სამკერვალო ფაბრიკა, მაღაროთა სამმართველო და ქალაქის აღგილობრივი მრეწველობის საწარმოები.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

თბილისის მიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივი ახალი მიღწევებით აღნიშნავს სკკპ XXII ყრილობის მოახლოებას. ხელსაწყოთმშენებლებმა საკუთარი კოლექტივის გამოშვების 7 თვის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულეს. [illegible] ლუდის გადაჭარბებით გამოშვებულია ათეულობით წყლის ხიჩრის სახეობა, მზის რადიაციის საზომი და მრავალ [illegible] ტებით სრულდება მერვე თვის გეგმაც.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზეინკლები შ. ხუციშვილი, დ. კლდიაშვილი, ხარატი ვ. ხმალაძე, რომლებიც გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდებგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ვითარება, რომელიც იქმნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და აგრესიულ ბლოკებში მათ მოკავშირეთა სამარი მზადების გაძლიერებასთან დაკავშირებით პასუხად საბჭოთა კავშირის წინადადებებისა გერმანიის საზაოო ხელშეკრულების დადების შესახებ.

გაითვალისწინეს რა, რომ ამ პირობებში საჭიროა განმტკიცდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს დროებით დატოვონ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესაბამის გვარობათა ჯარებისა და კვალიფიკაციის ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდებგები, რომლებმაც მოიხადეს სამხედრო სამსახურის კანონით დაწესებული ვადები და რომლებიც დათხოვნილ უნდა იქნან თადარიგში, იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა საბჭოთა არმიის საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული წრეების მხრივ ყოველი შესაძლო პროვოკაციის შემთხვევისათვის.

საბჭოთა კავშირს არ შეუძლია არ გადადგას ეს იძულებითი ნაბიჯი იმ პირობებში, როცა ნატოს სამხედრო ბლოკის წევრი სახელმწიფოები ყოველნაირად აძწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, პირდაპირ ემუქრებიან სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, აძლევენ გამალებულ შეიარაღებას, აღვივებენ ომის ისტერიას. საბჭოთა კავშირის უშიშროების ინტერესებმა მოითხოვა, რომ ყველაზე მომზადებულმა საბჭოთა მეომრებმა განაგრძონ სამსახური საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მანამდე, სანამ არ დაიდება საზაოო ხელშეკრულება გერმანიასთან. ეს ხელშეკრულება მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, გააჯანსაოს ვითარება ევროპაში და განამტკიცოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამენ, რომ ამას გაიგებენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებში, რომ იქ გაიმარჯვებს კეთილგონიერება, და დასავლეთის სახელმწიფოები არ წავიღენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებით უაღრესად დაინტერესებული ხალხების ნების წინააღმდეგ. მაშინ სამშინო აღარ იქნება იმ მეომართა დატოვება, რომლებმაც მოიხადეს თავიანთი ვადა შეიარაღებულ ძალებში, ისინი შეძლებენ დაბრუნდნენ შინ, დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს, მშვიდობიან შრომას.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საკითხი გერმანიისთან მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ გადაწყდეს ურთიერთთანხმობით ყველა მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენ არ გვინდა ვინმეს ვუკარნახოთ ჩვენი პირობები. საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს დასავლეთის სახელმწიფოებთან და ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებთან გერმანიის საზაოო ხელშეკრულების პროექტის ყველა დებულების ყოველი პუნქტი, ყოველი მუხლი, რათა გამოვნახოთ საუკეთესო გადაჭრა, რომელიც კეთილ სამსახურს გაუწევს მშვიდობის საქმეს.

როგორ უპასუხებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს, რომლებიც გამსჭვალულია ერთი სურვილით, — აღმოიფხვრას შესაძლო კონფლიქტების კერები, აღიკვეთოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე? ჩვენი წინადადებების საქმიანი განხილვის ნაცვლად გვიპასუხებენ მუქარით და საომარი მზადების გაძლიერებით, ახალი ასიგნობებით სამხედრო მიზნებისათვის, შეიარაღებული ძალების რიცხვის გადიდებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ, რომელიც ტელევიზიით გამოვიდა მიმდინარე წლის 26 იელისს, რაღაც ულტიმატუმის მსგავსი რამ წამოგვიყენა, არსებითად მოითხოვა, რომ ჩვენ საერთოდ მოვხსნათ საკითხი გერმანიასთან საზაოო ხელშეკრულების დადების შესახებ. თავისი მუქარის განსამტკიცებლად ჯ. კენედიმ ილაპარაკა „ნატოს ფარის გაფართოების“ შესახებ და გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ფართო საომარი მზადების პროგრამა, რომელიც ახლა სასწრაფო წესით სრულდება.

3,5 მილიარდი დოლარით გადიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების 1961/62 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც უამისოდაც აღემატებოდა 50 მილიარდ დოლარს. ჯერ არასოდეს მშვიდობიან დროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს სამხედრო ბლოკის სხვა მონაწილეებს არ დაუხარჯავთ. ასეთი დიდი თანხები ომის მზადებისათვის, როგორც ახლა. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო სამსახურში იწვევენ 200 ათასზე მეტ რეზერვისტს და ხორციელდება შეიარაღებული ძალების გაზრდის სხვა ღონისძიებანი.

სამარი ღონისძიებანი აჩქარებული ტემპით ხორციელდება ამჟამად აგრესიულ სამხედრო ბლოკებში შემავალ სხვა სახელმწიფოებშიც. დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები აქცევენ რეგალიტარიზებულ დასავლეთ გერმანიას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების მთავარ ძალად. დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერი რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იარაღით, უკვე ახლა არის ნატოს შეიარაღებული ძალების ბირთვი ევროპაში, ყოფილ ჰიტლერელ გენერლებს ეომბათ ახლა მთავარი პოზიციები ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობაში. ვინ ხელმძღვანელობს ნატოს სტრატეგიული გეგმების დამუშავებას? სამხედრო დამნაშავე ჰოიზინგერი, ცნობილი „ბარბაროსას გეგმის“ — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული აგრესიის გეგმის ერთ-ერთი ავტორი. ვინ არის ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალი ევროპის ცენტრალურ ზონაში? მათი სარდალი გენერალი შპაიდელი, რომლის სინდისზეა ასეულ ათასობით წამებული მებრძოლი საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების თავისუფლებისათვის. ბუნდესვერში უმაღლესი საკომანდო პოსტი უჭირავს გენერალ ფერჩს — სამხედრო დამნაშავეს, რომელმაც აიოხრა საბჭოთა კავშირის მთელი ოლქები.

დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ეწევიან გამალებულ შეიარაღებას და აღვივებენ საომარ ისტერიას, ცდილობენ გადააქცევნ საკითხი გერმანიის საზაოო ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ ძალთა მოსინჯვის ობიექტად. ამ პირობებში უარის თქმა საზაოო ხელშეკრულების დადებაზე ნიშნავს დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეებისა და ნატოს აგრესიული ბლოკის წაქეზებას აშკარა ავანტიურებისათვის. კარგად არის ცნობილი, რომ ისინი დიდი ხანია უმზადებენ სოციალისტურ წყობილებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ჩვენი მოკავშირეები იყვნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, ხოლო ახლა ფაქტიურად დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტების ნებას ემორჩილებიან, ცდილობენ წაართვან საბჭოთა ხალხსა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ხალხებს ხვალინდელი დღის რწმენა. მათ სურთ წაგვართვან მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ნაყოფი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყოველ ადამიანს, ყოველ საბჭოთა ოჯახს ასე ძვირად დაუჯდა.

სიმართლე და სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა. საბჭოთა კავშირი აქტიურად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, და არავითარ მუქარასა და დაშინების ცდას არ მივცემთ საშუალებას აგვაცდინონ იმ გზას, რომელიც დიდმა ლენინმა დაგვისახა. საბჭოთა მთავრობა როდი ეძებს გერმანიის საზაოო ხელშეკრულებაში რაიმე განსაკუთრებულ სარგებელს თავისა ქვეყნისათვის, ჩვენ მოვითხოვთ საზაოო ხელშეკრულების დადებას მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ სტაბილური გავხადოთ და გადაჭრით გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ვითარება. საბჭოთა კავშირი არ მოითხოვს ევროპის რუკის გადაკეთებას. საზაოო ხელშეკრულებაში ფიქსირებულ უნდა იქნას ის საზღვრები, რომლებიც დაადგინა პოტსდამის შეთანხმებამ, სადაც სსრ კავშირის ხელმოწერის გვერდით არის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმოწერა, — საზღვრები, რომლებიც რეალურად არსებობენ უკვე თხუთმეტი წელია. ჩვენ არ ხელყოფთ ვისიმე უფლებებს ან ინტერესებს. საბჭოთა მთავრობის წინადადებაა, რომ ქვეყნებმა, რომლებიც იბრძოდნენ გერმანიის წინააღმდეგ, ერთად შეიმუშაონ საზაოო ხელშეკრულება, რათა ამ ხელშეკრულების დადება ყველა მისი მონაწილისათვის ერთნაირად სასარგებლო იყოს.

გერმანიის საზაოო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა გამოდიან მილიტარისტები და რევანშისტები დასავლეთ გერმანიაში, რომლებიც ახალი სამხედრო ავანტიურების გეგმებს ამზადებენ. იმათ, ვინც ერთ დროს გამოზარდა ჰიტლერი, მისცა მას ხელში იარაღი, ვინც გაიჩაღა მეორე მსოფლიო ომი, დღეს კვლავ ჩაიგდეს ხელში საკომანდო პოზიციები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკასა და პოლიტიკაში. დასავლეთგერმანელმა რევანშისტებმა და მილიტარისტებმა ფაშისტური გერმანიისაგან მიიღეს სხვა ხალხთა დამონებისა და სხვისი ტერიტორიების მიტაცების პროგრამა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ადენაუერმა და მის ზურგსუკან მდგომმა ძალებმა რევანშიზმი საფუძვლად დაუდეს თავიანთ ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს. ბონის მთავრობის მინისტრები შტრაუსი, ლემერი, ბრენტანო, დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ბრანდტი სისტემატურად, კანცლერთან შეთანხმებულად, აღვივებენ რევანშისტულ ენებათა ღელვას. დასავლეთ გერმანელი რევანშისტების პროგრამა ომის პროგრამაა.

დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა და მილიტარისტების გეგმებში ადგილი არა აქვს საზაოო ხელშეკრულებას. საზაოო ხელშეკრულება გზას ეღობავს მათ, და ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ხელი შეუშალონ მის დადებას. მაგრამ ისინი, ვინც დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით, ვერ დაიცდიან, სანამ მოვლენათა სამშინი განვითარება დასავლეთ გერმანიაში თავის კრიზისულ ფაზას მიაღწევდეს. საბჭოთა ხალხმა უდიდესი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრების უფლება, და საბჭოთა მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ახლანდელმა თაობამ, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა არასოდეს არ განიცადონ ომით გამოწვეული მწუხარება და უბედურება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ევროპაში ახალი ომის გაჩაღების გზაზე უნდა აღიმართოს მტკიცე ზღუდე. არ შეიძლება დავუშვათ, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმმა სათამაშოდ გაიხადოს ომისშემდგომი მოუწყობლობა, რაც დღემდე არსებობს, გამოიყენოს საზაოო ხელშეკრულების უქონლობა და თანდათანობით მიიყვანოს მსოფლიო შეიარაღებულ შეტაკებამდე. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მოვალეობაა ხელი შეუშალონ ომისაკენ დაშვებას.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს გერმანიის საზაოო ხელშეკრულება, და ჩვენ დავდებთ მას სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად მომდინარე წლის დამლევამდე. თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვეს მშვიდობიან მოწესრიგებაზე, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდება სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც ამას მოისურვებენ, მოაწეროს ხელი საზაოო ხელშეკრულებას მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საზაოო ხელშეკრულების დადება ლახვარს ჩასცემს დასავლეთგერმანელი მილიტარისტების ვარაუდებსა და გეგმებს. ხელშეკრულება იურიდიულად განმტკიცებს გერმანიის ომისშემდგომ საზღვრებს. საერთაშორისო აღიარებას ჰპოვებს ის ფაქტი, რომ გერმანიის ერთ ნაწილში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — სამუდამოდ მოეღო ბოლო შავბნელ წარსულს, როცა გერმანული მილიტარიზმი აგრესიულ ომებს აჩაღებდა. საზაოო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, შეიტრასავით უჭირვნებს მთელ გერმანელ ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების გზას სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პირობებში, მისი საერთო ეროვნული ამოცანების გადაჭრის გზას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ სტაბილურობა შეიქმნას ევროპის ცენტრში და განმტკიცდეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა პირობას აძლევენ საბჭოთა ხალხს, ყველა სხვა ხალხს, რომ გაკეთდება ყველაფერი, რათა დაშვებულ არ იქნას ახალი ომი, რათა სადავო საკითხები წყდებოდეს არა იარაღის ძალით, არამედ მოლაპარაკების გზით. საბჭოთა წინადადებები მარტივი და ნათელია: ჩვენი წინადადებაა მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და დინჯად, საქმიანად განვიხილოთ გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხები. მაგრამ საბჭოთა ხალხი არ შედრკება მუქარის წინაშე, საბჭოთა ხალხი იძულების ან ძალის დემონსტრაციის წინაშე. საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო 14 სახელმწიფოს კოალიციის აგრესიას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ჩვენ არ შეშმდრალვართ ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის წინაშე და გადანაგურეთ ფაშისტური ურჩხული, თუმცა ეს მძიმე, უზომოდ მძიმე მსხვერპლად დაგვიჯდა. და თუ გერმანიასთან საზაოო ხელშეკრულების ხელისმოწერის გამო იმპერიალისტები კვლავ შეეცდებიან ჩაგვთრიონონ ომის მორევში, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ძალებს, რომლებიც წარმოშობენ აგრესიას, დავაბრჩოთ ქვეწარმავალი, რომელიც შეეცდება გამოძვრეს, რათა ატომიანელი მსხვერპლის ადგილ და ტანჯვა დაატეხოს თავს ხალხებს. ავანტიურების მოყვარულებმა უნდა იცოდნენ, რომ ძალთა ახალი თანაფარდობის დროს, რომლებიც შეიქმნა ამჟამად მსოფლიო ასპარეზზე, თუ ისინი ომს გაიჩაღებენ, აგრესორები გასრესილ იქნებიან.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ გულდამშვიდებულნა და უდარდელობა, იმ პირობებში, როცა ნატოს სამხედრო ბლოკი ყველაფერს აკეთებს, რათა კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნიათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც საამედოდ უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოს უშიშროებას.

როგორც უკვე გამოცხადდა, საბჭოთა მთავრობამ დროებით შეაჩერა შეიარაღებული ძალების შემცირება, რომელიც დასახული იყო 1961 წლისათვის, მიიღო გადაწყვეტილება მომდინარე წელს თავდაცვის ხარჯების ერთგვარი გადიდების შესახებ. განხორციელდა აგრეთვე სათანადო ღონისძიებანი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გასადიდებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა გულწრფელ მადლობას უძღვნიან მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომელნიც, ღრმად აქვთ რა შეგნებული, რომ საჭირო ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი გადიდება, მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და გამოიჩინეს პატრიოტული ინიციატივა — ძალების კიდევ უფრო მეტი დაძაბვით იმუშაონ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ თავიანთი საწარმოო გეგმები, უფრო სწრაფად და უკეთ შეასრულონ თავდაცვითი შეკვეთები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მადლობას უძღვნიან მუშებს, რომლებმაც მიმართეს მთავრობას წინადადებით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის ზოგიერთი საწარმო გადაიყვანოს 8 საათის სამუშაო დღეზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ამ წინადადებას გამოიყენებენ ვითარების შესაბამისად და იმ საწარმოებში, სადაც ეს საჭირო იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელზე მოდის მრავალი წერილი და რეზოლუცია, რომლებშიც ჯარისკაცები და მატროსები, სერჟანტები და ზემდებგები, რომელთა სამსახურის ვადა წელს გადის, თხოულობენ დატოვონ ისინი შეიარაღებული ძალების რიგებში. საბჭოთა მეომრები გამოთქვამენ სურვილს მთელი თავიანთი ცოდნა, მთელი თავიანთი გამოცდილება, რაც მათ შეიძინეს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ყოფნის დროს, მოახმარონ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მადლობას უხდიან პატრიოტ მეომრებს, რომლებსაც სწორად ესმით ვითარება და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებით, ითვალისწინებენ შექმნილ ვითარებას და ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების განუწყვეტელ მუქარას, ავალებენ თავდაცვისათვის მინისტრს გასცეს განკარგულება დროებით, გერმანიასთან საზაოო ხელშეკრულების დადებამდე, თადარიგში არ იქნას გაშვებული იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდებგთა საჭირო რაოდენობა, რომელთა სამსახურის ვადა 1961 წელს თავდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მოუწოდებენ ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდებგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს, რაკეტული ჯარების, სახმელეთო ჯარების, საჰაერო თავდაცვის ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა მეომარს ყოველ ღონისძიებით აამაღლონ საბრძოლო მზადყოფნა, კიდევ, უფრო განამტკიცონ სამხედრო დისციპლინა და წესრიგი, კიდევ უფრო შეუპოვრად სრულყონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობა. საბჭოთა სამშობლომ თავის მეომრებს მისცა მძლავრი, ყველაზე სრულყოფილი, მსოფლიოში საუკეთესო საბრძოლო იარაღი და ტექნიკა. მსოფლიოში არ არის ისეთი საკონტინენტთაშორისო და სხვა სახეობათა რაკეტები, რომელებთაც ახლა შეიარაღებულია საბჭოთა არმია, ისინი ფაამზადეს საბჭოთა მუშებმა, ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა, მეცნიერებმა. ჩვენი მეომრების წმიდათა-წმიდა მოვალეობაა ზედმიწევნით დაეუფლონ სამშობლოს დაცვის ყველა საშუალებას.

საბჭოთა კავშირი არასოდეს პირველი არ გამოიყენებს იარაღს, არასოდეს არ დაადგება ომის გაჩაღების გზას. მაგრამ ჩვენი შეიარაღებული ძალები ყოველთვის სავსებით მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველ აგრესორს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ მადლობას უხდიან მთელ საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ იგი ენდობა ჩვენს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას და იწონებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რასაც ისინი ახორციელებენ.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ძლიერია როგორც არასოდეს. საბჭოთა ხალხის მთაგონებული შრომა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობა განიხილავს და მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამას. კომუნიზმის ეს ნამდვილი მანიფესტი ფართო ჰორიზონტებს უსახავს ჩვენს ხალხს. ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება. ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის ხალხებს, ყველა სხვა ქვეყნის ხალხებს და ვეუბნებით: მოდით ვიცხოვროთ მშვიდობიანად, განვამტკიცოთ მშვიდობა, ხალხების ერთობლივი ღონისძიებებით შეიძლება მისი დაცვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სიმაღლე 250 კილომეტრია

სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტის გერმანე ტიტოვის სურათები



კოსმოსურ თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთ-2“-ით გაფრენისას მე თან წავიღე რეპორტიორული კინოაპარატი „კონვასი“ და ვცადე კაბინის ილუმინატორებიდან გადამეღო დედამიწისა და ცის ფოტოსურათები. ზოგიერთი ეს კინოკადრი, რომლებიც ფერადი ფირიდან გადაბეჭდილია ჩვეულებრივი შავ-თეთრი გამოსახულებით, დღეს ქვეყნდება „პრავდაში“.

პირველ ფოტოსურათზე მოხერხდა ჩვენი პლანეტის ამობურცულობისა და მის გარემომცველი შარავანდედის გადაღება. ეს შარავანდედი ნაზი ცისფერია და ზურმუხტისფერით, ლურჯით და იისფერით გადადის სავსებით შავ ცაში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

საქმიანი განხილვა

მთის მდინარეები წელს უფრო წყალუხვი არიან, ვიდრე წინათ. ეს ერთგვარად ჰგავს საბჭოთა ადამიანების შრომით აზვირთებას, რომლის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ასეა ჩვენი რესპუბლიკის ამ მთიან რაიონშიც. საბადურის დაბურული ტყეებიდან დაწყებული არტელის ალპურ საძოვრებამდე, ყველგან ივრის ლამაზ ხეობაში, რომელიც სოლივით შეჭრილა კავკასიონის მთათა სიღრმეში, გაჩაღებულია სასიხარულო შრომა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ახლა აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ კომუნიზმი მოაბიჯებს მთებში, რომლის წინამორბედად ივრის ნაპირებზე აღმართულა ათობით ხარაჩო. ავიღოთ დაბა თიანეთი. რამდენი გაკეთდა და რამდენი კეთდება აქ საბჭოთა ადამიანისათვის. თანდათანობით მაღლა, მიიწევენ საშუალო სკოლა-ინტერნატის, პოლიკლინიკის, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლების კედლები. შენდება სკოლები, გაკაფავო გზები. ხალისიანი შრომა დღეს საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საირიგაციო ნაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე. მთიელთა სახლები გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით, მთებში ტელეგადაცემებს ხედავენ. ახლახან თიანეთში გაიხსნა მუსიკალური სკოლა. თანდათანობით იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის.

მაგრამ კომუნიზმი თავისით არ მოვა, იგი თავდადებული შრომით უნდა ავაშენოთ. საანგარიშო პერიოდში ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ჩვენთან ცოტა როდია გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი. საჭიროა ვიფიქროთ ისე, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეეგებეთ პარტიის მომავალ XXII ყრილობას — აი საკითხები, რომლებზეც გაამახვილეს ყურადღება თიანეთის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატებმა.

პარტიის რაიკომის მდივნის მარიამ გონჯილაშვილის საანგარიშო მოხსენებაში და მოკამათეთა სიტყვებში ნათლად იგრძნობოდა საკუთარი ძალების ღრმა რწმენა და ის დიდი სიხარული, რაც გამოწვეულია სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გამოქვეყნებით, კომუნისტური პარტიის მშობლიური ზრუნვით ხალხისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თიანეთელი მშრომელები იბრძვიან მათ წინაშე მდგომი ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის. მომხსენებელი და დელეგატები სიამაყის გრძნობით აღნიშნავდნენ, რომ წელს რაიონში პირველად სრულდება სიმინდის მოსავლიანობის გეგმა. „მინდვრის დედოფლის“ ასეთი უხვი მოსავალი არასოდეს არ უნახავთ სვიმონიანთხევის, გორანის, ახალსოფლის, ჩეკურაანთგორის, ორხევის, თიანეთის, არტანისა და ზარიძეების კოლმეურნეებს.

რაიონის კოლმეურნეობები შემოსავალს ძირითადად მეცხოველეობიდან იღებენ. მიუხედავად მძიმე ზამთრისა და საკვების ნაკლებობისა, თიანეთელებს ამ დარგში ახლა გაცილებით უკეთესი წარმატებები აქვთ, ვიდრე შარშან. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა მთავარ ყურადღებას უთმობენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, წელს პირველად შესრულდა ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა. ფართოვდება საკვები ძირხვენების, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა საკვები კულტურების ნათესი ფართობი. სიმინდი გადაჭიმულია 2.200 ჰექტარზე, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სასილოსედ გამოიყენებენ, დამზადებულია ასობით ტონა უხეში საკვები. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს მეცხოველეობის იაფი პროდუქციის წარმოების გადიდებას.

მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული კონფერენციის ბევრი დელეგატის გამოსვლა. ეს გასაგებიც არის, რადგან თიანეთის რაიონი ამ დარგში წლების მანძილზე ჩამორჩებოდა და, როგორც ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლენინის ორდენოსანმა ვენერა სიხარულიძემ თქვა, ყველას მოსწყინდება ჩამორჩენილთა სიაში ყოფნა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები ახლა გაცილებით უკეთესად ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო წარმოებას, ბევრი კომუნისტი თავდადებული შრომით და ხალხისათვის ერთგული სამსახურით ამართლებს დიადი ლენინური პარტიის წევრობის მაღალ წოდებას.

კომუნისტი ვენერა სიხარულიძე ამას წინათ რაიონის ყველაზე ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ ირჩიეს. გავიდა ოთხიოდე თვე, და კოლმეურნეობაში მდგომარეობა შეიცვალა. ახალსოფლელებმა საუკეთესოდ დაამუშავეს ნათესები და კარგი მოსავალიც მიიღეს, იმატა რძის წარმოებამ, ამაღლდა შრომის დისციპლინა. ხალხმა შეიყვარა თავისი ერთგული ხელმძღვანელი და დაჯერებით გაჰყვა მას.

როცა ამის შესახებ კონფერენციის ტრიბუნიდან ლაპარაკობდნენ, დარბაზში გაისმა ხმა:

— გვითხარით, რაში მდგომარეობს ახალსოფლელთა წარმატების „საიდუმლოება“?

ვენერა სიხარულიძემ დამაჯერებლად თქვა:

— მთავარია ხალხთან სწორი მიდგომა, საქმის ერთგულება და ორგანიზატორული მუშაობა. კომუნისტს უნარი უნდა შესწევდეს იპოვოს თვითეული ადამიანის გული-გასაღები...

რაიონში მეგზაურობის, მეფუტკრეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისა და კულტურული მშენებლობის საინტერესო საკითხები წამოაყენეს დელეგატებმა შ. ჭაფოლიძემ, ნ. მგელაიშვილმა, ს. ასლანიკაშვილმა, შ. ჭინჭარაულმა, გ. გიორგაძემ, ნ. ბადურაშვილმა, ი. წიკლაურმა, ი. არაბულმა და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გ. რთველაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით განიხილეს და მოიწონეს სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები.

* * *

შედგა პარტიის ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია შ. გონჯილაშვილი, მეორე მდივნად — გ. დავითაშვილი.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

სიუხვის დღე

ჩვენი კოლმეურნეობა ქალაქ სტალინირის ახლოს მდებარეობს. მეურნეობა დიდი არ არის, მაგრამ მრავალფეროვანია. გვაქვს ვენახები, ბაღები, მოგვყავს ბაჯრის ჭარხალი, ბოსტნეული, მივდევთ მეცხოველეობას.

ჩვენი ბაღები ბევრ ადგილას ძველია. ბევრ ადგილას ბაღის ადგილზე ტყეა ამოსული

მდგომარეობა ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. (საკდესი). შდგომარეობა ბრაზილიაში კვლავ დაძაბული და გაურკვეველია. ბრაზილიის დედაქალაქიდან მიღებული ცნობებით, კონგრესს განუწყვეტლივ სხდომები აქვს. ბევრი დეპუტატი დღეს შეეკითხა პრეზიდენტის მოვალეობის დროებით ამსრულებელს მანძილის მარშალ. ლოტის დაპატიმრების, პრესაზე ცენზურისა და პროფკავშირულ თავისუფლებათა შეზღუდვების შესახებ. მაძილიმ უპასუხა დეპუტატებს, რომ მან ამის შესახებ არაფერი არ იცის, მაგრამ მიიღებს „ღონისძიებებს კანონიერების დასაცავად". მან აგრეთვე განაცხადა, რომ დეპეშა გაუგზავნა გულარტს, რომელშიც სთხოვს მას იკისროს სახელმწიფოს მართვა, როგორც კი ბრაზილიაში დაბრუნდება.

კონსერვატორმა დეპუტატმა ვილიგალმა კონგრესში წაიკითხა წერილი, რომელიც, როგორც იგი ამტკიცებდა, დაწერა სამხედრო მინისტრმა მარშალმა დენისმა. წერილში ნათქვამია, რომ „შეიარაღებული ძალები არ აპირებენ ხელი შეუშალონ გულარტს ხელში აიღოს სახელმწიფოს მართვა".

ვილიგალს გამოსვლა შეაწყვეტინა დეპუტატმა ბრაზილიის მუშათა პარტიისაგან არტურო ვირხილიომ. მან განაცხადა, რომ დადგა დრო ბოლო მოეღოს ყოველგვარ გაუგებრობას და მოითხოვა, რომ სამხედრო მინისტრმა პირადად გაიმეოროს ეს სიტყვები.

დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარემ სერეიო მაგალიესმა განაცხადა: „ჩვენ ფიზიზელი უნდა ვიყოთ იმ მომენტში, როცა ზღუდავენ თავისუფლებას, ხურავენ რადიოსადგურებს და ცენზურას აწესებენ პრესაზე და როცა მთელ ბრაზილიაში შეშფოთება ვრცელდება".

პარიზი, 28 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო სანპაულოდან იუწყება, ამჟამად ბრაზილიის დედაქალაქში წარმოებს მოლაპარაკება და კონსულტაციები, რათა „შეიმუშაონ კომპრომისისა და მოწესრიგების ფორმულები".

პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელმა რანერი მაძილიმ რადიოთი მიმართა ბრაზილიას. მან განუცხადა ხალხს, რომ მთავრობა „გულდასმით აღევნებს თვალყურს მდგომარეობას და კონსტიტუციის ერთგული დარჩება".

ამავე დროს ფრანს პრესის საგენტომ დაიმოწმა ბრაზილიის რადიო და მონტევიდეოდან გადასცა, რომ ბრაზილიის შტატის გუანაბარის ხელისუფლებამ გუშინ სალამოს გულარტის მოწინააღმდეგის — გუბერნატორ კარლოს ლასერდას ბრძანებით დაიკავეს ფედერალური რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და პრესის ორგანოების ყველა შენობა.

ჰავანა, 28 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესსა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი ფლავიო ტავარესი იუწყება „პირატაბიდან" — გუბერნატორის სასახლიდან პორტო-ალეგრეში (რიო-გრანდე-დო-სულის შტატი), ამ დიდმნიშვნელოვანი შტატის დედაქალაქი „როგორც ჩანს ამჟამად წარმოადგენს ანტიკონსტიტუციური გადატრიალების პასუხად ბრაზილიის გამოსვლის ცენტრს".

აქ სასახლეში შეიკრიბა დაახლოებით ორი ათასი კაცი, მათ შორის მოხელეები, ჟურნალისტები, შტატის მილიციის წარმომადგენლები, წერს კორესპონდენტი. სასახლე გარშემორტყმულია ბარიკადებით და ეკლიანი მავთულით. „პირატაბის" სასახლიდან ფედერალური არმიის შტაბამდე, რომელიც აგრეთვე გარშემორტყმულია ბარიკადებით, დაახლოებით 500 მეტრია.

შტატის მთავრობა იმყოფება თვით შენობაში და მოელის ფედერალური შეიარაღებული ძალების შესაძლო თავდასხმას.

პროფკავშირულმა მოღვაწეებმა შტატის დედაქალაქში შექმნეს „დემოკრატიული წინააღმდეგობის კომიტეტი" და აპირებენ დღეს, ორშაბათს, დაიწყონ საყოველთაო გაფიცვა.

დღეს დილის 8 საათზე თავის გამოსვლაში რადიოთი შტატის მთავრობის მეთაურმა ბრიზოლამ განაცხადა, რომ არ დატოვებს სასახლეს და განაგრძობს წინააღმდეგობას მაშინაც კი, თუ შეეცდებიან მიწასთან გაასწორონ სასახლე.

რიო-გრანდე-დო-სულის ფედერალურმა სამხედრო სარდლობამ დახურა რადიოსადგურები „გაუჩა" და „ფაროუპილია". ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ რადიოსადგურებმა გადასცეს ბრიზოლას მიწოდება მუშებისადმი, სტუდენტებისა და „შტატის მთელი შეიარაღებული ძალებისადმი" წინააღმდეგობა გაუწიონ სამხედრო გადატრიალებას.

დღეს სალამოსთვის გუბერნატორმა ბრიზოლამ მოითხოვა რადიოსადგურ „გუაიბის" რეკვიზიცია, რათა მისი სასუალებით გადასცეს შტატის მთავრობის ოფიციალური ინფორმაცია. მილიციის რაზმებმა, რომლებიც ბრიზოლას ექვემდებარებიან, დაიკავეს რადიოსადგური და დაუყოვნებლივ განახორციელეს ოფიციალური რეკვიზიცია.

გუბერნატორი ბრიზოლა სარგებლობს შტატის საკანონმდებლო ასამბლეის, აგრეთვე მილიციისა და პროფკავშირების მხარდაჭერით.

ჰავანა, 28 აგვისტო. (საკდესი). პრესსა ლატინას საგენტო რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება:

მუშათა ორგანიზაციებთან დაახლოებულ წრეებში გამოხატავენ მტკიცე განზრახვას მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა კანონიერების და ვიცე-პრეზიდენტ ჟოაო გულარტის იმ უფლების დასაცავად, რომ დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი.

იუწყებიან, რომ ბრაზილიის ყველა მუშათა ცენტრში, სადაც ამჟამად შეშფოთება და დაძაბულობაა, მოელიან ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტ გულარტის დაბრუნებას.

პარიზი, 28 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო იუწყება, რომ პარიზში მყოფმა ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა დღეს განაცხადა, რომ თავისი თავი მიაჩნია ბრაზილიის პრეზიდენტად.

ტელეგრაფი გვატყობინებს

✦

წყალდიდობა ბირმაში

რანგუნი, 29 აგვისტო. (საკდესი). ახლა ბირმაში ყველაზე უხვი ტროპიკული წვიმების პერიოდია. ისინი განსაკუთრებით საშიშია ბირმის სამხრეთ-აღმოსავლეთი ველიანი რაიონებისათვის.

ივლისის შუა რიცხვებში ქალაქ პეგუს (60 მილზე რანგუნიდან) მცხოვრებლებმა განიცადეს პირველი წყალდიდობა. გავიდა ერთ თვეზე ცოტა მეტი და ქალაქის დასავლეთი რაიონები, რომლებიც დაბლობში მდებარეობენ, კვლავ წყლით დაფარული აღმოჩდნენ. წვიმების შედეგად წყლის დონემ მდინარე პეგუში, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფს, მიაღწია აღნიშვნას, რომელიც რეკორდულია უკანასკნელ 25 წელიწადში. ოთხი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო რკინიგზის მიმოსვლა პეგუზე მიმავალ ხაზებზე.

პრესის ცნობით, ასეთივე ხვედრი ხვდა ქალაქ ფხაანს მდინარე სალუინის ნაპირზე (კარენის სახელმწიფოს დედაქალაქი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ბირმა). წყალმა დაფარა ქალაქის ყველა შენობის ნახევარი. მდინარე სალუინის აუზში წყალმა დაფარა 60 სოფელი. მკვიდრთა აზრით, ეს ყველაზე დიდი წყალდიდობაა კარენის სახელმწიფოში უკანასკნელი 7 წლის მანძილზე.

აფრიკა იბრძვის

პეკინი, (საკდესი). სინხუას საგენტო აქვეყნებს ჩრდილოეთ როდეზიის კოლონიურ ხელისუფალთა ცნობას, იმის შესახებ, რომ აფრიკელ პატრიოტთა ჯგუფი, რომელშიც თოფებით, შუბებით, შვილდისრებითა და ნაჯახებით შეიარაღებული დაახლოებით 300 კაცია, 25 აგვისტოს თავს დაესხა პოლიციელთა ორ პატრულს ჩრდილოეთ პროვინციის მპოროკოსოს რაიონში, სადაც ეს პატრულები სადამჯდარნი ოპერაციებს ეწეოდნენ. ეს ყველაზე დიდი შეიარაღებული თავდასხმაა კოლონიურ ჯარებზე მას შემდეგ, რაც აფრიკელებმა აგვისტოს დამდეგს გააჩაღეს ბრძოლა ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც თავს მოახვიეს ამ ქვეყანას ინგლისელმა ხელისუფლებმა.

ბერლინში დასავლეთი სასწორზე სდებს მშვიდობის ბედს

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამერიკის პრესაში

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის დრიუ პირსონის კითხვაზე გამოქვეყნდა ამერიკის პრესაში.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდმა" დღეს გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრული ტექსტი და დრიუ პირსონის ცნობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მისი საუბრის შესახებ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრული ტექსტი გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „ნიუ-იორკ მირორმა".

პასუხის შინაარსი გამოქვეყნდა „ნიუ-იორკ ტაიმსში", „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" და სხვა გაზეთებში.

პროვოკატორები დასავლეთ ბერლინში

ლონდონი, 28 აგვისტო. (საკდესი). აღწერს, რა მდგომარეობას ბერლინში, ბურჟუაზიული გაზეთის „დეილი მეილის" კორესპონდენტი ფორესტი მკვეთრად გმობს მილიტარისტული და რევანშისტული ელემენტების პროვოკაციებს დასავლეთ ბერლინში, რომლებიც ახლა მიზნად ისახავენ გამოიწვიონ შეტაკება დასავლეთის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ხაზს უსვამს რა, რომ ეს პროვოკაციები „აძლიერებენ დაძაბულობას", ფორესტი აცხადებს, რომ მათ გმობს ზოგიერთი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე. უწოდა რა ბრბოს საქციელს პროვოკაციული, წერს ფორესტი, ერთმა მაღალი თანამდებობის ინგლისელმა ოფიცერმა მითხრა: „მე არავის არ მივცემ ნებას, რომ ბერლინელი არამზადების ბანდამ ჩამოთრიოს მესამე მსოფლიო ომში, თუ კი ეს ჩემზეა დამოკიდებული".

ფორესტი წერს, რომ პროვოკატორები ის ადამიანები არიან, რომლებიც იცავდნენ ჰიტლერის რეჟიმს ან დუმილით ეთანხმებოდნენ მას. ამასთან ავტორი სარკასტულად დასძენს: „და ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა „მამაცობამ" ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯონსონის აღტაცება გამოიწვია".

ფორესტი პირდაპირ აცხადებს, რომ პროვოკაციებს აქეზებენ ამერიკულ სექტორში, სადაც ამერიკის ტანკების ზარბაზნები დამიზნებულია აღმოსავლეთ ბერლინზე, ხოლო ქვაფენილებზე ჩამწკრივებულა მოხალისეთა არამზადების ბრბო, რომლებიც ღრიალით ყოველნაირად ლანძღავენ გერმანიის სახალხო პოლიციას.

როგორც ფორესტი აღნიშნავს, დასავლეთის ოფიციალური პირები მხარს უჭერენ დასავლეთ ბერლინში მათ, ვისაც გაგონებაც არა სურს რაიმე მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირთან. ეს სიაში პოზიციაა, ხაზგასმით აღნიშნავს ფორესტი.

რევანშისტები არ ცხრებიან

დასავლეთი ბერლინი, 28 აგვისტო. (საკდესი). რეაქციული ელემენტები კვლავ ცდილობენ უფესრიგობა გამოიწვიონ დასავლეთ ბერლინისა და ქალაქის დემოკატიული სექტორის საზღვრებზე. ამასთან ისინი სარგებლობენ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალთა მხარდაჭერით. ბერლინის პრესა იუწყება პროვოკატორთა თავხედური გამბედობის ახალ ფაქტებს.

გუშინ მოფიშისტო ელემენტების ჯგუფი დასავლეთ ბერლინის საფრანგეთის სექტორიდან შეიჭრა დემოკრატიული ბერლინის ტერიტორიაზე ფრონაუს რაიონში და სცადა დაენგრია საზღვარზე დაგებული ღობეები. დამბლეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს სახალხო პოლიციის მოსამსახურეებისაგან და გაიქცნენ.

მტრული გამოხდომები სცადეს ამერიკის სექტორის საზღვარზეც, მაგრამ აქაც სახალხო პოლიციის მტკიცე მოქმედების მეოხებით პროვოკაცია ჩაიფუშა. სექტორალურ საზღვრებზე აღდგენილია წესრიგი.

ამ ტუნისელი მუშის მკერდზე უცხოელთა ლეგიონის ჯარისკაცებს დანით ამოუკვეთიათ ფრანგ ფაშისტთა ორგანიზაციის — „ახალგაზრდა ერის" ნიშანი.

მოლაპარაკება? რის შესახებ?

ინგლისის პრესა მაკმილანის განცხადების შესახებ

ლონდონი, 28 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის პრობლემაზე განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი მაკმილანი ეთათბირა საგარეო საქმეთა მინისტრ პიუმს შოტლანდიაში, ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ეს განცხადება ეწინააღმდეგება პრემიერ-მინისტრის განცხადებას ათავე თემაზე, რომელიც ერთი დღით ადრე გაკეთდა.

პირველ შემთხვევაში მაკმილანმა შეაფასა ბერლინის ბერლინში და ხაზი გაუსვა, რომ დაძაბულობას ამ საკითხის გარშემო „პრესა აღვივებს". მაგრამ გუშინ მან განაცხადა, რომ ვითარება ბერლინში „სერიოზულია" და რომ ამის მიზეზია ვითომდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება.

საგულისხმოა, რომ ორივე განცხადებაში მაკმილანმა აღიარა გერმანიის პრობლემაზე მოლაპარაკების საჭიროება, მაგრამ არაფერი არ თქვა ასეთი მოლაპარაკების მიზეზებზე და დასჯერდა მხოლოდ ძენშვნას, რომ მოლაპარაკება უნდა მოეწყოს „ჯეროვან ატმოსფეროში და ჯეროვან დროს".

გაზეთი „დეილი უორკერი" კომენტარს უკეთებს მაკმილანის გუშინდელ განცხადებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კრიზისი ბერლინში დასავლეთმა გამოიწვია", რადგან „რუსებმა წამოაყენეს საზავო ხელშეკრულება, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოებმა უპასუხეს ომისათვის მზადებით". „სწორედ ეს მოქმედება, განაგრძობს გაზეთი, წარმოშობს ომის საფრთხეს. თუ მაკმილანს ომი არა სურს, იგი უნდა დაეხმაროს, რათა ბოლო მოეღოს დასავლეთის პროვოკაციებს, ამის ნაცვლად კი იგი მხარს უჭერს ამ პროვოკაციებს და მონაწილეობს მათში".

გაზეთი „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ დასავლეთს არა აქვს ზუსტი პოზიცია მოლაპარაკების საკითხში და წერს: „ახლა საჭიროა რაიმე პოზიტიური ნაბიჯი, რომ დაიწყოს მოლაპარაკება".

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯორჯ ბრაუნმა გუშინ შეფილდში მკაცრად გააკრიტიკა პრემიერ-მინისტრის განცხადება და მოითხოვა განისაზღვროს მიზნები, რომლებსაც უნდა ესწრაფვოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები მოლაპარაკებაზე. „მაგრამ, — განაცხადა ბრაუნმა, — ჩვენ წინანდებურად არ მოვითხოვთ დაიწყოს მოლაპარაკება და, აღბათ, არ გიცით, თუ რას უნდა მივაღწიოთ ამ მოლაპარაკებაზე, როცა დავიწყებთ მას."

საირუს იტონს შარს სდებენ

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანება „სკრიფს-ჰოვარდის" კუთვნილმა გაზეთებმა მოათავსეს სტატიების სერია, ოთხლებშიც შარს სდებენ ფიხანსისტსა და საზოგადო მოღვაწეს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინური პრემიის ლაუეატ საირუს იტონს.

სტატიებში „ბრალდებად" იტონის წინააღმდეგ ის მოჰყავთ, რომ მან საღილი გაართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომაროს ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად ნიუ-იორკში, დადებითი აზრი გამოთქვა სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებების თაობაზე, ძიესალდა საბჭოთა გძირს იური გაგარინს თავის სახლში ახალ შოტლანდიაში, დაწვრა მთელი რიგი სტატიები საბჭოთა პრესისათვის და ძიიღო ლენინური პრემია.

ყველა კეთილ ნების ადამიანს ეს მოქმედება მიაჩნია დიდმნიშვნელოვან წვლილად საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის ურთიერთ გაგების განვითარებაში, დიდმნიშვნელოვან წვლილად მშვიდობის საქმეში.

მაგრამ გაერთიანება „სკრიფს-ჰოვარდის" გაზეთები ამტკიცებენ, რომ იტონი არ მოქმედებდა როგორც პატრიოტი და რომ იგი თითქოს „ფიოდ მავნე როლს ასრულებდეს ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში". ამასთან გადაკვრით ამბობენ, რომ უნდა გამოინახოს იურიდიული საშუალებანი, რათა დასაჯოს იტონი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის მხარდასაჭერად გამოსვლებისათვის.

ამ სტატიების ავტორი—წარსულში ქაღალდის მეფაბრიკე, ხოლო ამჟამად ეროხალისტი ჰენრი ტეილორი. პოზიდენტ ეიზენჰაუერის დროს იგი მცირე ხანს შეერთებული შტატების ელჩად იყო შვეიცარიაში. თავის ძოვალრიცხოვან სტატიებში ტეილორი სავსებით გარკვეულად ამბობს, თუ რას გულისხმობს „პატრიოტიზმად". ყოფილი ქაღალდის მეფაბრიკე ქება-დიდებას ასხამდა ფაშისტ დიქტატორებს ფრანკოსა და სალაზარს, ანძღავდა პრეზიდენტ რუზველტს მისი სოციალური რეფორმებისათვის.

ამერიკელი ტანმოვარჯიშეები თბილისში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანვარჯიში № 1 სპორტს არ მიეკუთვნება, მაგრამ იგი პროგრესს განიცდის.

საბჭოთა და ამერიკელი ტანმოვარჯიშეები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს სხვადასხვა ასპარეზობაში, მაგრამ ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა საერთაშორისო შეჯიბრებას მიმდინარე წლიდან ჩაეყარა საფუძველი. ჯერ იყო და იანვარში ჩვენი გამოჩენილი ოსტატები ეწვევნენ ამერიკელებს, ახლა კი ისინი საპასუხო ვიზიტით საბჭოთა კავშირში იმყოფებიან.

და აი დღეს თბილისელები სპორტის სასახლეში იხილავენ ჩვენი სტუმრების ოსტატობას. ამერიკელები თბილისში ჩამოვიდნენ 28 აგვისტოს. გუშინ მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სტუმართა გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებით, რომელთა უმრავლესობას ამ ქვეყნის ჩემპიონები და პრიზიორები წარმოადგენენ. მათ რიგებში ვხედავთ დ. ფუქსს, მ. გროსფელდს, ჯ. კლაუზერს, ბ. მეიკოს, ა. გროსფელდს, რ. ლინის, ჰ. ოკვინის, დ. ტორნის და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკიდან გამოვლენ გ. შარაბიძე, მ. ნინოშვილი, ე. ქაჯაია, მ. ცნობილაძე, რ. კაპანიძე, ნ. მაკალათია, ჯ. ფრიდონიშვილი, ა. ნარიმანოვი და სხვ.

საქართველო — შვეიცია 7,5:0,5

შვეიცია ჰიდაობის დიდი ტრადიციის ქვეყანაა. ამიტომ საქართველოსა და ამ ქვეყნის ნაკრებთა საერთაშორისო მატჩს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც გუშინ შედგა, სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ.

სპორტის სასახლე სავსე იყო მაყურებლებით. ასპარეზობას წინ უძღოდა მოჭიდავეთა პარადი. საქართველოს გუნდის სახელით სტუმრებს გადასცეს სამახსოვრო პრიზი — თასი.

ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები — მონასელიძე და ფრენდფორსი. ქართველი სპორტსმენისათვის ეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. იგი იბრძოდა გაბედულად, აქტიურად და მიაღწია დამსახურებულ გამარჯვებას ქულებით.

წარმატებით იბრძოდა ჩვენი გუნდის წარმომადგენელი შეყრილაძე ოთრბომის წინააღმდეგ. შვედი მოჭიდავე პასიურობდა, ხალიჩიდან გარბოდა, მაგრამ იგი დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

შვეიცის ხუთგზის ჩემპიონის კარლსონის წინააღმდეგ ქვეესუბუქ წონაში გამოვიდა ხოხაშვილი. ქულებით გამარჯვება ქართველ სპორტსმენს ხვდა. მომდევნო სამ წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ძლიერ მეტოქეებს და გაიმარჯვეს ქულებით. მახარაძემ მოუგო აკსელსონს, ბერიაშვილმა—სუნდსტრემს, დავლიანიძემ — ბენგსტესონს.

მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ცნობილი მოჭიდავის ანტონსონისა და გოგეჯიშვილის შეხვედრა ქვემძიმე წონაში დამთავრდა ფრედ, ხოლო მძიმე წონაში ქართველმა მოჭიდავემ ხითარიშვილმა დასაწყისშივე ბეკებზე დასცა ბერსონი.

ამრიგად, საერთაშორისო შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოსა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 7,5:0,5.

სურათზე: მახარაძისა და აკსელსონის შეხვედრის ერთი მომენტი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ფეხბურთი

ფრე ერევანში

ერევნის გუშინდელი მატჩით უძლიერესთა ათეულის კიდევ ორი წარმომადგენელი ჩაება დასკვნითს ასპარეზობაში. ესენი იყვნენ ადგილობრივი „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

პირველ ტაიმში იგრძნობოდა თბილისელთა ტერიტორიული და ტექნიკური უპირატესობა, რომელსაც შედეგიც მოჰყვა. მე-7 წუთზე კალოევმა კარგად გაიყვანა წინ ბარქაია და ანგარიშიც გიხსნა. სპარტაკელთა კარი კიდევ რამდენიმე გოლს გადაურჩა, იგი იხსნა ძელმა — ანგარიში (1:0) უცვლელი დარჩა.

ბრძოლის მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა, ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ „დინამოს" მცველთა რიგებში თავი იჩინა პანიკამ. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მცველთა შეცდომით გალუსტიანმა (№ 12) საპასუხო ბურთი გაიტანა.

შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოკოლავა, ზეინკლიშვილი, ხელაძე, დათუნაშვილი (მელაშვილი), ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

ჩემპიონის დამარცხება

ასეთი სპორტული პაექრობა დიდი ხანია არ ახსოვთ მოსკოველებს. დედაქალაქის ცენტრალური სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით. „ტორპედოსა" და „სპარტაკის" გუშინდელი ბრძოლა აღიარებულ იქნა სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩად.

ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს, რომელსაც გოლითვე უპასუხა მეტრეველმა. ჰუსაინოვის ორმა ბურთმა სპარტაკელები კვლავ წინ გაიყვანა. 3:1 — ასეთი იყო ტაიმის შედეგი.

მეორე ნახევარში ჯერ ტორპედოელმა ივანოვმა, შემდეგ სპარტაკელმა სევიდოვმა და ბოლოს მედაკინმა („ტორპედო") თითო ბურთი გაიტანეს.

გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 4:3.

„დინამო"—სკა

გუშინ უკრაინის დედაქალაქის სპორტის მოყვარულები დიდი ფეხბურთის მოწმენი იყვნენ. აქ შედგა ადგილობრივი „დინამოსა" და დონის როსტოვის არმიის სსსპორტო კლუბის გუნდების მატჩი, ერთად-ერთმა ბურთმა, რომელიც გატანილ იქნა არმიელთა კარში ბოლო წუთებში, გადაწყვიტა მატჩის ბედი. გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 1:0.

უნივერსიადის დღეები და შედეგები

სოფია, 28 აგვისტო. (საკდესი). 33 ქვეყნის სახელმწიფო ალმები ფრიალებს სოფიაში. მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის სპორტსმენები სტუმრად არიან ბულგარეთის დედაქალაქში, მიმდინარეობს სტუდენტთა 1961 წლის საერთაშორისო ასპარეზობა — უნივერსიადა.

ბულგარელი მაყურებლები მოხიბლეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. ეკორიხელაძემ სტუდენტმა 19 წლის ი. პეტროვინამ უმაღლესი შეფასება მიიღო თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისათვის, ლენინგრადელმა ტ. მანინამ პირველი ადგილი დიაკავა დვირზე ვარჯიშში.

ვაკთა შორის ტაიჭზე ვარჯიში ყველაზე უკეთ შეასრულა ხარკოველმა ი. მაკულინმა.

პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს მცურავებმა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ფენიკო

სიმაღლე 250 კილომეტრის

სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტის გერმანე ტიტოვის სურათებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა





მარცხნივ ზემო სურათზეა დედამიწა, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია ღრუბლებით და მათი ჩრდილით. ჰორიზონტისაკენ ღრუბლები სულ უფრო მჭიდროდ ფარავენ დედამიწის ზედაპირს. ჰორიზონტის ხაზს იქით შავი, თითქოს ტუშით დახატული ცაა. მასზე მოჩანს კაშკაშა ვარსკვლავები, რომლებიც თანაბარი არამოციმციმე შუქით ანათებენ. ამ სურათის ქვემო ნაწილში და მარჯვნივ ზემოთ რკალები მოხაზულია ილუმინატორის კონტურებით.

დედამიწის სურათები გადავიღე ოპტიკური მოწყობილობა „ვზორის“ ილუმინატორიდანაც **(მარჯვენა სურათი ზემოთ)**. ილუმინატორის მინაზე გამოსახული ისრები აჩვენებენ კოსმოსური ხომალდის ფრენის მიმართულებას.

ქვემოთ მარჯვენა სურათი გვიჩვენებს, როგორი სახე აქვს დედამიწას, თუ კოსმონავტი მას ვერტიკალურად უცქერის ქვევით. ბოლქვა ღრუბლებს მიღმა მოჩანს დედამიწის ზედაპირი, მასზე კი დიდი მდინარის ხვეულები. სურათის ქვემო ნაწილში კარგად გასარჩევია მჭიდრო ფენოვანი ღრუბლების საზღვარი.

და კიდევ ერთი **სურათი (ქვემო სურათი მარცხნივ)**. მასზე შესამჩნევია მთაგრეხილები და ხეობები.

იმ ორბიტიდან, რომელზეც უდიდესი სისწრაფით მიჰქროდა „აღმოსავლეთი-2“, დედამიწა ძალიან ლამაზი მოჩანს, თვალს ახარებს ფერების სიუხვით. აქ მოცემულ სურათებზე ეს ფერები, სამწუხაროდ, არ არის; მაგრამ ფოტოსურათები მაინც რამდენადმე იძლევიან წარმოდგენას იმაზე, თუ რაოდენ შესანიშნავია ჩვენი პლანეტა, როცა მას კოსმოსიდან უცქერი.

გერმანე ტიტოვი.

(„პრავდა“, 29-VIII).

რა მისცა ახალი მეცნიერებას ერთი დღე-ღამის ფრენამ კოსმოსში?

ოთხი თვე არ გასულა იმ მომენტიდან, რაც იური გაგარინმა მოახდინა ისტორიული საგმირო საქმე და კაცობრიობა კვლავ ულოცავდა საბჭოთა ხალხს ახალ ბრწყინვალე წარმატებას. კოსმოსური ხომალდის კაბინაში მყოფი გერმანე ტიტოვი ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნის განმავლობაში ფრინავდა ორბიტაზე. ჩვიდმეტჯერ შემოუარა დედამიწას გარშემო კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-2“, რომელშიც ადამიანი იყო, და დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

ახლა უკვე ბელკასა და სტრელკას — დედამიწის პირველ ცოცხალ მობინადრეებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ერთი დღე-ღამე კოსმოსური ფრენის პირობებში დაჰყვეს, — როდი ეკუთვნით კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნის თავისებური რეკორდი. დედამიწაზე მტკიცედ დაბინაგებს ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივი კოსმოსური მოგზაურობა განახორციელა.

განა შეიძლება უფრო ღრმად დადასტურდეს ახალი პროგრამის ის ძირითადი დებულება, რომ ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს, ვიდრე გმირობა კოსმოსში, რომლის მოწმე დღეს მთელი კაცობრიობაა?

როგორც ცნობილია, იური გაგარინმა კოსმოსის სივრცეში 108 წუთი დაჰყო. მისმა მშვიდობიანმა დაბრუნებამ დედამიწაზე საშუალება მოგვცა დადებითი პასუხი გაგვეცა იმ კითხვებზე, რომ შეაძლებელია ადამიანის კოსმოსური გაფრენები, რომ საიმედოა კოსმოსური ხომალდი და სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოსმონავტის ნორმალურ სასიცოცხლო მოქმედებას ფრენის დროს. მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ მიიღეს კოსმონავტთა შერჩევისა და წვრთნის სწორი სისტემა.

განსაკუთრებით სერიოზული იყო უწონობის პირობებში ხანგრძლივ ყოფნაზე ადამიანის ორგანიზმის რეაქციის საკითხი. ერთი მხრივ, ნათელი არ იყო, თუ როგორი იქნება ცენტრალური ნერვული სისტემის გამძლეობა: ხომ არ დაირღვევა შრომისუნარი, ხომ არ გაჩნდება ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების საქმიანობის დარღვევასთან დაკავშირებული რაიმე სიმპტომები. მეორე მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გადატვირთვის ამტანობას დაშვების მონაკვეთზე, უწონობაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ.

ექსპერიმენტების პროცესში მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ცხოველები, მაგალითად, უწონობის პირობებში ყოფნის შემდეგ, ესე იგი დაშვების დროს, უარესად იტანენ გადატვირთვის მოქმედებას, ვიდრე მიწიერ პირობებში ყოფნის შემდეგ.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადამიანის ორგანიზმის გამძლეობა არახელსაყრელი ფაქტორების მოქმედებისადმი საკმაოდ მაღალია. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპეციალურმა წვრთნამ.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გადაიჭრა კიდევ ერთი რთული საკითხი. ადამიანი დედამიწაზე მიეჩვია 24 საათიან ცხოვრების ციკლს. ფიზიოლოგიური ფუნქციების საღღეღამისო პერიოდიკა უდიდეს როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში. მაჯისცემის, სუნთქვის, შრომისუნარიანობის მერყეობა დაკავშირებულია დღე-ღამის დროსთან. ღამით ადამიანის მაჯისცემის საშუალო სიხშირე უფრო ნაკლებია, ვიდრე დღისით. დილით შრომისუნარიანობა უფრო მეტია, ვიდრე საღამოს. მაგრამ კოსმოსში არ არის დღე-ღამის პერიოდების დამახასიათებელი ცვლა, ხოლო დედამიწის თანამგზავრისათვის 200-300 კილომეტრი სიმაღლის ორბიტაზე „დღე-ღამის“ ხანგრძლივობა მხოლოდ საათნახევარია — პლანეტის გარშემო ერთი შემოვლის დრო.

რა გავლენას მოახდენს ადამიანის ორგანიზმზე დღე-ღამის ნორმალური პერიოდიკის დარღვევა, „დღისა“ და „ღამის“ სწრაფი ცვლა? გერმანე ტიტოვის ფრენის პროგრამა შედგენილი იყო დედამიწის დროის გაანგარიშებით. და აი მიღებულია პირველი მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენა დღე-ღამის პერიოდიკაზე. თუ დედამიწას გარშემო მეორე შემოვლისას ინტენსიური მუშაობის დროს კოსმონავტის მაჯისცემის სიხშირე საშუალოდ 88 იყო წუთში, მერვე-მეთორმეტე შემოვლისას ძილის დროს მაჯისცემის სიხშირე წუთში 53-67 იყო.

ისეთ უბრალო აქტებსაც კი, როგორიცაა წყლისა და საჭმლის რეგულარული მიღება, დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. როგორც გაგარინისა და ტიტოვის გაფრენებით გამოირკვა, კოსმოსში კვების პრობლემა არც თუ ისე სერიოზულია, როგორც დღემდე ვარაუდობდნენ.

ხოლო კოსმოსური ხომალდის ხელით მართვის სისტემის გამოცდა, რომელიც გერმანე ტიტოვმა განახორციელა? განა ეს არ არის იმის დადასტურება, რომ მფრინავმა შეინარჩუნა ნორმალური შრომისუნარი კოსმოსური ფრენის პირობებში, ხანგრძლივი უწონობის მდგომარეობაში ექვსი-რვა საათის ყოფნის შემდეგ?

კოსმონავტი მფრინავის გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის შესანიშნავი ფრენის შედეგად დადასტურდა, რომ შესაძლებელია ადამიანის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

რ. ბაევსკი.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.